სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის

_____ **ნოე ქაშიბაძე**

27 იანვარი 2014 წელი

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

№11/129

2011 წლის 1 იანვარი - 2013 წლის იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე....3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები....4
ფორმა N1 - ბალანსი 2011....6
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2011....7
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2011....8
ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ 2011....9
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2011....10
ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2011....11
ფორმა N1 - ბალანსი 2012....12
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2012....13
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2012....14
ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ 2012....15
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2012....16
ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2012....17
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები....18
ანგარიში სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებზე....21
დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე....21
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები....23

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“-ს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“-ს (შემდეგში თეატრი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ანგარიშები ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიშები წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიშები სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ, ანგარიშები არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიშები ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

თეატრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე ,,ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის, "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი მინისტრის აპარატის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უპირობო აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით ორგანიზაციას არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, კერძოდ:

- უსასყიდლოდ მიღებული და თეატრის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება - ვაჟა–ფშაველას გამზ. N16–ში მდებარე 3 სართულზე არსებული 108.29 კვ.მ ფართი (რომელშიც განთავსებულია და ფუნქციონირებს თეტრი), თანხობრივად აღრიცხული არ არის თეატრის საბუღალტრო რეგისტრებში (ბალანსში)[1], რის შედეგად არსებითი ცდომილებით, შემცირებულია რეალურად არსებული არაფინანსური აქტივების ღირებულება. აღნიშნული აქტივების ღირებულება უცნობია, ვინაიდან ქონების გადმოცემის ადმინისტრაციულ აქტებში (წერილები და მიღება-ჩაბარების აქტები) არ იყო მითითებული მათი საბალანსო ღირებულება და არც შესაბამისი წესით მომხდარა მათი დადგენა;

- 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსის საცნობარო მუხლში ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში არასწორად არის შემცირებული 3,279.00 ლარით, კერძოდ რეალურად ასახული უნდა იყოს 8,220.00 ლარი, ნაცვლად ამისა სბუღალტრო მონაცემებით ასახულია 4,941.00 ლარი;

[1] საქართველოს პრეზიდენტის 6.02.1998 წლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28.12.2007 წლის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის და 23-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების მოთხოვნები;

- არ არის აღრიცხული ბუღალტრულად და ასახული ბალანსში შემდეგი მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები)[2]:

(ლარი)

დასახელება	თანხა
საშემოსავლო გადასახადი	962.35
სხვა ჯარიმები	250
ჯამი	**1212.50**

- თეატრის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2011-2012 წლების ანგარიშებში (ბალანსის დანართი ფორმა N2) ფაქტობრივ ხარჯებში - საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ხარჯები ,,ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ (არაფინანსური აქტივების გასვლა და ცვეთა) არ იყო აღრიცხული 2011 წელს - 23,450.00 ლარი, ხოლო 2012 წელს - 17,053.00 ლარი, ჯამში - 40,503.00 ლარი[3].

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2011 წლის და 2012 წლის სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“-ს ფინანსური ანგარიშგებები, გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხისა, არსებული დებიტორული დავალიანებებისა (მოთხოვნების) და ძირითადი კაპიტალის მოხმარების სრული აღრიცხვის შემთხვევაში, მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრისათვის და 2012 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

რისკები

თეატრს არ შეუმუშავებია ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარი სისტემა; კერძოდ, არ განუხორციელებია რისკების განსაზღვრა და შეფასებები; არ განუსაზღვრავს ყველა რისკის მნიშვნელობა, ალბათობა და საპასუხო კონკრეტული კონტროლის მექანიზმების დოკუმენტურად ასახვა[4].

---

[2] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28.12.2007 წლის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის 1-ლი და მე-16 პუნქტების და მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები.

[3] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ‘‘ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ’’ ინსტრუქციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართბელოს საბიუჯეტო კლსიფიკაციის მოთხოვნები;

[4] „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-13 მუხლის მოთხოვნები.

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“

ფორმა N1 - ბალანსი 2011

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	შენიშვნა	2011
აქტივები		
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში		
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში		
ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის		0.83
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის		389.03
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		
მოთხოვნები მივლინებით		
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები		
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით		
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		
არაფინანსური აქტივები		
შენობა-ნაგებობები		
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		56,662.94
სხვა ძირითადი აქტივები		
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები		
სხვა მატერიალური მარაგები		
არაწარმოებული აქტივები		
სულ არაფინანსური აქტივები		
ბალანსი		**57,052.80**

ვალდებულებები და კაპიტალი

ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები	
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	
გადასახდელი დღგ	
ვალდებულებები მივლინებით	
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით	
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები	
კაპიტალი	
წმინდა ღირებულება	56,662.94
გაუნაწილებელი მოგება	389.86
სულ კაპიტალი	
ბალანსი	**57,052.80**

საცნობარო მუხლები	
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	4,503
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	23,324

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2011 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებ. გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	**240440**	**240440**	**240440**	**240440**	**240440**	**240440**	
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	*235440*	*235440*	235440	235440	235440	235440	
1.1.1.3 პრემია	-	*5000*	5000	5000	5000	5000	
1.2 საქონელი და მომსახურება	**30600**	**50591**	**50378.11**	**50378.11**	**50378.11**	**50378.11**	
1.2.1შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება							
1.2.2 მივლინებები	1000	375	375	375	375	375	
1.2.3 ოფისის ხარჯები	*3560*	*3904*	3870.97	3870.97	3870.97	3870.97	
1.2.6 სამედიცინო ხარჯები							
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენ. დაკავშირებული ხარჯი							
1.2.8ტრანსპორტის, ტექნიკის, და იარაღის მოვლა-შენახვის ხარჯები	*8200*	*11755*	11702.60	11702.60	11702.60	11702.60	
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	*17840*	*34557*	34429.50	34429.50	34429.50	34429.50	
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება							
1.6 გრანტები							
1.6.2							
1.6.3							
1.7 სოციალური უზრუნველყოფა							
1.7.3							
1.8 სხვა ხარჯები							
სულ ხარჯები	**271040**	**291031**	**290818.11**	**290818.11**	**290818.11**	**290818.11**	

სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	**(240440)**
საქონელი და მომსახურება	**(50378.11)**
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	**(23450.15)**
მ.შ. ფიზიკური ცვეთა	*(23450.15)*
სოციალური უზრუნველყოფა	
აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა	**3515.84**
მ.შ. ძირითადი აქტივების	3515.84
მატერიალური მარაგების	
არაწარმოებული აქტივების	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	
სულ სადებეტო ბრუნვა	**(317784.10)**
სულ ჯამი	**317784.10**
ნაშთი წლის დასაწყისისათვის 01/01/2011	**54770.50**
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	291918.11
შემოსავლები	
მ.შ. გრანტები	
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	**18559.84**
მ. შ. ძირითადი აქტივები	*18559.84*
არაწარმოებული აქტივები	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	**9198.59**
მ.შ. მოგება ფლობიდან	9198.59
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	
სულ საკრედიტო ბრუნვა	**319676.54**
სულ ჯამი	**374447.04**

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“

ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

შემოსავლები		შენიშვნა	2011 წელი		
			გეგმა	საკასო	ფაქტიური
ნაშთი წლის დასაწყისისთვის			4684	4684	4684
საანგარიშო პერიოდის შემოსავლები			14000	13724	13724
გრანტები					
სხვა შემოსავლები					
ა) შემოსავლები საკუთრებიდან					
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია			7000	6724	6724
გ) სანქციები,ჯარიმები,საურავები					
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები,გრანტების გარდა			7000	7000	7000
ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები					
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი					
1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	**კოდი**		**18684**	**18018.97**	**18018.97**
1.1. შრომის ანაზღაურება	**21**		1000	792	792
1.2 საქონელი და მომსახურება	**22**		18014	17144.45	17144.45
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	**23**				
1.4 პროცენტი	**24**				
1.5 სუბსიდიები	**25**				
1.6 გრანტები	**26**				
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	**27**				
1.8 სხვა ხარჯები (მოგება,ქონება)	**28**		85	82.52	82.52
2. არაფინანსური აქტივები	**31**				
2.1 ძირითადი აქტივები	311				
2.2 მატერიალური მარაგები (მ.შ. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები)	312				
2.3 ფასეულობები	313				
2.4 არაწარმოებული აქტივები	314				
3. ფინანსური აქტივები	**32**				
4. ვალდებულებები	**33**				
ბიუჯეტში გადახდილი თანხები					
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი					
ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს				389.03	389.03

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2011(ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

		მიღება						გასვლა						
არაფინანსური აქტივების დასახელება	შენიშვნა	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვით	გრანტებით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	ნებაყოფლობითი ტრანსფერებით გარდა გრანტებისა	საკუთარი სახსრებით	გაყიდვით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	გრანტები	სხვა ხარჯებ	საქონელი მომსახურე	ძირითადი კapიტალის მოხმარება	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
ძირითადი აქტივები		**54770.50**	**4632.11**		**18559.84**	**2350**	**3316.48**		**3515.84**				**23450.15**	**56662.94**
შენობა-ნაგებობები														
არასაცხოვრებელი შენობები														
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		**4337**	**1100**		**18559.84**	**2350**	**3316.48**		**3515.84**				**12903.19**	**13244.29**
სატრანსპორტო საშუალებები		2718			11395.84				3515.84				4817.19	5780.81
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვეტარი		1619	1100		7164	2350	3316.48						8086	7463.48
სხვა ძირითადი აქტივები														
არამატერიალური ძირითადი აქტივები														
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები		**50433.50**	**3532.11**										**10546.96**	**43418.65**
სულ ძირითადი აქტივები														
მატერიალური მარაგები														
სხვა მატერიალური მარაგები														
ფულადი დოკუმენტები														
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები და სათადარიგო ნაწილები														
სულ მატერიალური მარაგები														
ფასეულობები														
არაწარმოებული აქტივები														
მიწა														
სულ არაწარმოებული აქტივები														
სულ მატერიალური აქტივები														

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“

ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2011

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო სახსრებით		**სულ**	
მაჩვენებელთა დასახელება	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	**საკასო ხარჯები**	**ფაქტიური ხარჯები**
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა სულ: - 1	7440	7440			7440	7440
მ.შ. მსუბუქი მანქანები სულ: - 1						
აქედან	-	-	-	-	-	-
ა) პერსონალური სარგებლობის: - 1	-	-	-	-	-	-
ბ) სამსახურებრივი მიმოსვლის -	7440	7440			7440	7440
გ) ოპერატიული და სპეცდანიშნულების: -	-	-	-	-	-	-

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“

ფორმა N1 - ბალანსი 2012 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	2011
აქტივები		
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში		
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში		
ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის		722.24
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის		0.83
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		
მოთხოვნები მივლინებით		
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები		
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით		
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		
არაფინანსური აქტივები		
შენობა-ნაგებობები		
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		39609.89
სხვა ძირითადი აქტივები		
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები		
სხვა მატერიალური მარაგები		
არაწარმოებული აქტივები		
სულ არაფინანსური აქტივები		
ბალანსი		**40332.96**

ვალდებულებები და კაპიტალი

ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები	
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	
გადასახდელი დღგ	
ვალდებულებები მივლინებით	
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით	
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები	
კაპიტალი	
წმინდა ღირებულება	39610.72
გაუნაწილებელი მოგება	722.24
სულ კაპიტალი	
ბალანსი	**40332.96**

საცნობარო მუხლები

ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	4941
საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	382
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	29966.40
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	8221

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2012 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი		დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებ. გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება		**247440**	**254240**	**286172.47**	**286172.47**	**286172.47**	**286172.47**	
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო		*247440*	*253740*	253708.75	253708.75	253708.75	253708.75	
1.1.1.3 პრემია			*500*	*500*	*500*	*500*	*500*	
1.2 საქონელი და მომსახურება	**9**	**27900**	**32900**	**31963.72**	**31963.72**	**31963.72**	**31963.72**	
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		825	600	260	260	260	260	
1.2.2 მივლინებები								
1.2.3 ოფისის ხარჯები		3637	3737	3541.08	3541.08	3541.08	3541.08	
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები								
1.2.6 სამედიცინო ხარჯები								
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები								
1.2.8. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები								
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		15000	20125	20109.14	20109.14	20109.14	20109.14	
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება								
1.6 გრანტები								
1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს								
1.7 სოციალური უზრუნველყოფა								
1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოცდხმარება								
1.8 სხვა ხარჯები								
1.8.2 სხვადასხვა ხარჯები								
1. სულ ხარჯები		**275340**	**387140**	**286172.47**	**286172.47**	**286172.47**	**286172.47**	

სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	**(254208.75)**
საქონელი და მომსახურება	**(31963.72)**
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	**(17053.05)**
მ.შ. ფიზიკური ცვეთა	
სოციალური უზრუნველყოფა	
აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა	
მ.შ. ძირითადი აქტივების	
მატერიალური მარაგების	
არაწარმოებული აქტივების	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	
სულ სადებეტო ბრუნვა	**(303225.52)**
სულ ჯამი	**303225.52**
ნაშთი წლის დასაწყისისათვის 01/01/2011	**56662.94**
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	286172.47
შემოსავლები	
მ.შ. გრანტები	
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	**18559.84**
მ. შ. ძირითადი აქტივები	*18559.84*
არაწარმოებული აქტივები	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	**0.83**
მ.შ. მოგება ფლობიდან	
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	
სულ საკრედიტო ბრუნვა	**286173.30**
სულ ჯამი	**39610.72**

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“

ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

შემოსავლები		**შენიშვნა**	2012 წელი		
			გეგმა	საკასო	ფაქტიური
ნაშთი წლის დასაწყისისთვის			389.03	389.03	389.03
საანგარიშო პერიოდის შემოსავლები			25000	6442	6442
გრანტები					
სხვა შემოსავლები					
ა) შემოსავლები საკუთრებიდან					
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია			7000	7000	7000
გ) სანქციები,ჯარიმები,საურავები					
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები,გრანტების გარდა			17000		
ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები					
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი					
1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	**კოდი**		**25389.03**	**6108.79**	**6108.79**
1.1. შრომის ანაზღაურება	**21**		4000	2420	2420
1.2 საქონელი და მომსახურება	**22**		21289.03	3647.95	3647.95
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	**23**				
1.4 პროცენტი	**24**				
1.5 სუბსიდიები	**25**				
1.6 გრანტები	**26**				
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	**27**				
1.8 სხვა ხარჯები (მოგება,ქონება)	**28**		100	40.84	40.84
2. არაფინანსური აქტივები	**31**				
2.1 ძირითადი აქტივები	311				
2.2 მატერიალური მარაგები (მ.შ. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები)	312				
2.3 ფასეულობები	313				
2.4 არაწარმოებული აქტივები	314				
3. ფინანსური აქტივები	**32**				
4. ვალდებულებები	**33**				
ბიუჯეტში გადახდილი თანხები					
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი					
ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს				722.24	722.24

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	**შენიშვნა**	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	შესყიდვით	გრანტებით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	ნებაყოფლობითი ტრანსფერებით გარდა გრანტებისა	საკუთარი სახსრებით	გაყიდვით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	გრანტები	სხვა ხარჯებ	საქონელი და მომსახურება	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	**ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს**
მატერიალური მარაგები		**0**	**985**									**985**		**0**
სტრატეგიული მარაგები														
სხვა მატერიალური მარაგები														
ფულადი დოკუმენტები														
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები		0	985									985		0
ძირითადი აქტივები		**56662.94**											**17053.05**	**39609.89**
შენობა-ნაგებობები														
არასაცხოვრებელი შენობები														
სატრანსპორტო საშუალებები		5780.44											1382.92	4397.52
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		50882.50											15670.13	35212.37
სხვა ძირითადი აქტივები														
არამატერიალური ძირითადი აქტივები														
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები														
სულ ძირითადი აქტივები														
ძირითადი აქტივები		**56662.94**	**985**									**985**	**17053.05**	**39609.89**

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“

ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

	ანალიზური აღრიცხვის მონაცემები															
	მაჩვენებელთა დასახელება	პირველი კვარტლის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
				შემენა	სხვა სახით	ექსპლუატა	რაოდენობა								
		მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
1	**სატრანსპორტო საშუალებები სულ:**	3			-	-		7702	1075	4941	1780	7702	1075	4941	1780
	მ.შ. მსუბუქი მანქანები	2			-	-		7152.80	650	4816.80	1780	7152.80	650	4772.80	1780
	ჯიპები და პიკაპები			-	-	-									
	სატვირთო		1	-	-	-		549.20	425	124.20		549.20	425	124.20	-
2	მანქანა დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ	6				-		-							-
	მობილური ტელეფონები					-		-							-
	ტელევიზორები	1													
	კომპიუტერები	5													

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

თეატრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, საქართველოსა და აფხაზეთის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 19.08.2005 წლის №91 და 12.11.2012 წლის N302/ძ ბრძანებებით დამტკიცებული დებულებით.

თეატრს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში ხაზინაში, ხარჯთა ნუსხა და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

თეატრი, როგორც მხატვრულ-სანახაობითი დაწესებულება, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების და ამ დებულების საფუძველზე, დამოუკიდებლად წარმართავს თავის შემოქმედებით და სამეურნეო საქმიანობას.

თეატრი წარმოადგენს ხანგრძლივი ტრადიციების მქონე სარეპერტუარო, მრავალპროფილიან პროფესიულ სახელმწიფო დაწესებულებას, რომელსაც ჰყავს მუდმივმოქმედი თეატრალური დასი, რომელთა უშუალო მონაწილეობით იდგმება თეატრალური ხელოვნების ნაწარმოებები – დრამატული, ტრაგიკული, კომედიური თუ სხვა სახის სცენური წარმოდგენები (სპექტაკლები).

თეატრის ძირითად მიზნებსა და საქმიანობის საგანს წარმოადგენს მსოფლიო და ეროვნულ ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა.

თეატრი შედგება თეატრის ხელმძღვანელობის, თეატრალური დასისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისაგან.

2. საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

ა) ,,ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონი;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

დ) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. მოთხოვნები

თეატრში 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა მოთხოვნები:

ლარი

დასახელება	**თანხა**
საშემოსავლო გადასახადი	962.35
სხვა ჯარიმები	250

ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ იყო ბუღალტრულად აღრიცხული.

4.ვალდებულებები

თეატრში 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ვალდებულებები არ ირიცხებოდა.

5. სხვა განმარტებები

თეატრს საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე არ ქონდა განსაზღვრული თეატრის წინაშე არსებული რისკის შემცველი სფეროები. ასევე არ ხორციელდებოდა ოპერაციების კონტროლის სისტემების ადეკვატურობის შეფასება; რისკის მართვა არ იყო განხორციელებული ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

6. შემოსავლები ბილეთების რეალიზაციიდან

2011-2012 წლებში თეატრალური წარმოდგენის ერთი ბილეთის რეალიზაცია ფაქტობრივად ხდებოდა სხვადასხვა ფასად: 3; 5; 6; 7 და 11 ლარად. დიფერენცირებული ფასები (3, 5 და 11 ლარი) დადგენილი და დაწესებული იყო სსიპ „კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“-ს მმართველის ბძანებებით (25.03.2010 წლის N22 და 12.11.2012 წლის N46

ბრძანებები), თუმცა ამ ბრძანებებით არ იყო განსაზღვრული კრიტერიუმები ბილეთების სარეალიზაციო ფასების დიფერენცირებასთან მიმართებაში. ფაქტობრივად კი 11 ლარად იყიდებოდა ის ბილეთები, რომელთა რეალიზაცია ხდებოდა უშუალოდ კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სალაროდან, ხოლო 3; 5, 6, 10.5 და 7 ლარად იყიდებოდა ის ბილეთები, რომელთა რეალიზაცია ხორციელდებოდა სკოლებსა და სხვადასხვა დაწესებულებებზე თეატრის თანამშრომლების მიერ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სალაროზე ან თანამშრომლებზე რეალიზაციის მიზნით ბილეთების გადაცემისას, ამ ბილეთების გადაცემის ან არარეალიზებული ბილეთების უკან დაბრუნების შემთხვევაში რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა) არ ფორმდებოდა.

თანამშრომლების მიერ ბილეთების რეალიზაციით მიღებულ ფულად სახსრებს, მათი სალაროს აპარატში და სალაროს შემოსავალში აღრიცხვა ხდებოდა ამ თანამშრომლების მიერ სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში ბილეთების რეალიზაციის შემდეგ მიღებული ფულადი სახსრების თაეტრის სალაროში წარმოდგენის შემდეგ. ამ შემთხვევაში ხდებოდა რეალიზებული ბილეთების რაოდენობის დადგენა, ხოლო არარეალიზებული ბილეთები უკან უბრუნდებოდა თეატრს, თუმცა ამ ყოველივეს დოკუმენტურად ასახვა არ ხორციელდებოდა.

თეატრის სარეალიზაციო ყველა ბილეთს ჰქონდა ერთი სტანდარტული სახე და მასზე რაიმე განმასხვავებელი ნიშნები - ბილეთების ფასების მიხედვით არ აისახებოდა. ბილეთებზე არც მათ რეალიზაციამდე და არც რეალიზაციის შემთხვევაში, არ ხდებოდა სარეალიზაციო ფასის მითითება.

საბუღალტრო მონაცემებით 2011-2012 წლებში რეალიზებულია 2617 ცალი ბილეთი სულ 12,050.00 ლარად:

(ლარი)

ერთეულის ფასი	რეალიზებული ბილეთების რაოდენობა	მიღებული შემოსავალი	% რეალიზებული ბილეთების რაოდენობასთან მიმართებაში
11	386	4,246	14.75
10.5	8	84	0.3
7	60	420	2.29
6	23	138	0.88
5	371	1855	14.18
3	1,769	5307	67.6
ჯამი	**2,617**	**12,050**	**100**

წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს: 11 ლარად რეალიზებულია მხოლოდ 386 ცალი ბილეთი, რაც სულ რეალიზებული ბილეთების 14.75 %-ს შეადგენს, ხოლო უმეტესი რაოდენობით (1769 ცალი) ბილეთები რეალიზებულია დადგენილი სარეალიზაციო ფასებიდან უმცირესი თანხით (3 ლარი), რაც სულ რეალიზებული ბილეთების 67.6 %-ს შეადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების სისწორესა და სისრულეში.

საგულისხმოა, რომ თეატრში 2011-2012 წლებში მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებისა (ბილეთების) და ფულადი სახსრების ინვენტარიზაცია საერთოდ არ ჩატარებულა.

ანგარიში სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებზე

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“-ს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი“-ს საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მისი სამართლიან წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, თეატრის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება თეტრის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI-4200) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა თეტრის საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია თეტრის ანგარიშებში მოქმედ კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობაზე პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

- 2011 წლის 21 ოქტომბერს მიღება-ჩაბარების აქტით თეატრის სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონება (ავტომანქანა 3515.84 ლარის საბალანსო ღირებულებით), აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანხმობის გარეშეა გადაცემული აფხაზეთის ა.რ. ეკონომიკის სამინისტროზე[5].

- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე[6] საკუთარი შემოსავლებიდან, 2011-2012 წლებში თეატრის ხელმძღვანელის ბრძანებებით თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოყოფილი და გაცემულია - 3,059.50 ლარი.

- თეატრის კუთვნილი მატერიალური ფასეულობები შესანახად განთავსებული იყო სხვადასხვა შენობებში. აქედან, 2213.23 ლარის ნარჩენი (7,385.05 ლარის პირველადი) ღირებულების ფასეულობები (დეკორაციები) დაზიანებული და გამოსაყენებლად გამოუსადეგარია, ვინაიდან არ იყო უზრუნველყოფილი და დაცული მათი მოვლა- შენახვის პირობები[7].

ზემოაღნიშნული ფასეულობები შესანახად განთავსებული იყო ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა და განსახლების სამინისტროს შენობის სარდაფში 2010 წლის გაზაფხულიდან. მოცემულ სათავსოში არ იყო დაცული მოვლა-შენახვის პირობები. მიუხედავად ამისა, თეატრის ხელმძღვანელობის მხრიდან არ გატარებულა შესაბამისი ღონისძიებები სათავსოში შესანახად განთავსებული ფასეულობების დაზიანებებისაგან დასაცავად.

საგულისხმოა, რომ თეატრს დღემდე არა აქვს გაფორმებული რაიმე ხელშეკრულება ზემოაღნიშნული სარდაფის მფლობელთან შენობაში განთავსებული ფასეულობების შენახვაზე[8].

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, თეატრის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.

---

[5] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-4პუნქტის მოთხოვნები;

[6] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ1" ქვეპუნქტის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 12.11.2012 წლის N302/ძ ბრძანებებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის მოთხოვნები.

[7] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28.12.2007 წლის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები.

[8] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-6პუნქტის მოთხოვნები;

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დასკვნის საფუძვლებში წარმოდგენილი საკითხების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

სახელმწიფო შესყიდვები

2011 და 2012 წლებში (N5) დადებული რიგი ხელშეკრულებები არ შეიცავდა შემდეგ ინფორმაციას:

- ხელშეკრულების ობიექტის კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკლასიფიკატორის კოდს[9];
- საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას[10].

2011 წელს სახელმწიფო შესყიდვებზე მომწოდებლებთან დადებულია 113 ხელშეკრულება, აქედან 13 ხელშეკრულების ასლები არ არის წარდგენილი კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამისი მოდულის (CMR) მეშვეობით.

სალარო

2011-2012 წლებში თეტრის სალაროში მიღებული იყო შემოსავლები სპექტაკლის ბილეთების რეალიზაციიდან, თუმცა სალარო არ უზრუნველყოფილა ტექნიკურად (ცეცხლგამძლე ლითონის კარადებით), ხოლო სალაროს ტექნიკური გამაგრების, დაცვის და სახანძრო უსაფრთხოების საკითხები არ იყო შეთანხმებული შესაბამის უწყებებთან[11].

აუდიტის ჯგუფი: გიორგი ფრუიძე

27 იანვარი 2014 წელი

[9] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011 წლის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის “ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

[10] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011 წლის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის “ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

[11] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 04.02.2011 წლის N49 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მოთხოვნები.